თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3317358

ნომერი: AR1512472

თარიღი : 08.06.2017

გაცემის თარიღი : 26.06.2017

გაცნობის თარიღი : 27.06.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება ლილო , ქუჩა სტურუა , (ნაკვეთი N2/20) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გალაქტიონ სურმავა პ/ნ 01013016521
- ჭირნახულის 9

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის წლის 08 მაისის №3229665 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 08 ივნისს #AR1512472 განცხადებით მომართა გალაქტიონ სურმავამ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის წლის 08 მაისის №3229665 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადება.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2017 წლის წლის 08 მაისს გაიცა ქალაქი თბილისი, დასახლება ლილო, ქუჩა სტურუა, (ნაკვეთი N2/20)-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე, (საკადასრტო კოდი: #01.19.27.002.081) №3229665 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: #882017258030, მომზადების თარიღი: 06/04/2017 11:04:26) თანახმად, ქალაქი თბილისი, დასახლება ლილო, ქუჩა სტურუა, (ნაკვეთი N2/20)-ში არსებულ მიწის ნაკვეთის (საკ. კოდი: 01.19.27.002.081), მესაკუთრეა შპს „ბორჯი“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხ. რეგისტრაცია: B12027862, 29/02/2012 11:34:22) შპს „ბორჯი"-ის დირექტორია გალაქტიონ სურმავა (01013016521).
განმცხადებლის განმარტებით, აღარ არსებობს ზემოაღნიშნული აქტის შესაბამისად მშენებლობის განხორციელების ინტერესი და შესაბამისად, ითხოვს 2017 წლის წლის 08 მაისის №3229665 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ძალადაკარგულად გამოცხადებას.
"ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 34–ე მუხლის მე–7 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებულის გარდა არის ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი და სამსახურში დაცული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია დააკმაყოფილოს გალაქტიონ სურმავას მოთხოვნა და ძალადაკარგულად გამოაცხადოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და "ლიცენზიების და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს მოქალაქე გალაქტიონ სურმავას 2017 წლის 08 ივნისს #AR1512472 განაცხადი.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის წლის 08 მაისის №3229665 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.